შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (9.655)

1-8 ნოემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი საავადმყოფო-დედოფლისწყაროს

პროექტი მალე რეალობად იქცევა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებითა და ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით, მალე დედოფლისწყაროს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფო ექნება. ახალი ტექნიკით აღჭურვილი 25 საწოლიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები 2014 წლის ბოლოს დაიწყება და 2015 წელს დასრულდება. მრავალფუნქციური საავადმყოფოს პაციენტებს კვალიფიციური მედპერსონალი მოემსახურება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ საავადმყოფოს მზა პროექტი უკვე მიიღო: „ექსპერტიზა გაიარა და გამოგვეგზავნა, რათა გაიაროს შესაბამისი პროცედურები. უახლოეს დღეებში ტენდერი გამოცხადდება მშენებლობის დასაწყებად. ეს არის არაჩვეულებრივი პროექტი, თანამედროვე ტიპის შენობა. თავდაპირველად 15 საწოლიანი იგეგმებოდა, შემდგომ 20 და ამჯერად 25 საწოლიანი დაპროექტდა. რისი მიღწევაც გვინდოდა, შევძელით. ორი საოპერაციო ბლოკი ექნება, რაც მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ეს საავადმყოფო ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრის დედოფლისწყაროს ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებს. მოგეხსენებათ, დედოფლისწყარო ტერიტორიულად საკმაოდ დიდი მუნიციპალიტეტია და სოფლებიც ორ ნაწილად არის დაყოფილი. ქვედა ზონის სოფლებისთვის დედოფლისწყაროს ცენტრამდე საშუალო მანძილი 50-70 კილომეტრამდეა, ამდენად, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობას ეხება საქმე, ხშირად დრო გადამწყვეტია. საავადმყოფოს უქონლობის გამო ადგილზე სამედიცინო მომსახურებას ვერ იღებდნენ და ამისთვის წნორსა თუ სხვა ქალაქებში უხდებოდათ წასვლა. ეს კი დამატებითი თავისტკივილია. ამ ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია, გვქონდეს შესაბამისად აღჭურვილი კლინიკა. ახლა მიმდინარეობს მედპერსონალის გადამზადებაც. მოსახლეობაშიც დიდი მოლოდინია ამ პროექტის მიმართ, სოფლებში ყოველი შეხვედრისას ამ საკითხს აყენებენ. ბევრს ეს დაპირება ჩვენი წინასაარჩევნო კამპანიის განუყოფელი ნაწილი ეგონა და ამიტომ, სკეპტიკოსებს მინდა წარვუდგინო ეს პროექტი, რომელიც მართლა საუკეთესოდაა მომზადებული და ყველა დეტალი გათვლილია“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

გთხოვთ,ჰერეები გვიწოდოთ!

გვ. 4

ცვლილებების ორი წელი

გვ. 2

ჩემი თვალით დანახული სამყარო

გვ. 5

ღარიბაშვილი - ჩართვის მექანიზმის მობილური ოპერატორებისა და სასამართლოსთვის გადაცემას ვეწინააღმდეგები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მოსმენების კანონთან დაკავშირებით ალტერნატიული ჯგუფის მიერ შეთავაზებული ვერსია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის რისკის შემცველია. პრემიერის თქმით, ჩართვის მექანიზმი მობილური ოპერატორების და სასამართლოს ხელში არ უნდა იყოს.

„საუბარია იმაზე, რომ ე.წ გასაღები იყოს ერთი მხრივ მობილური ოპერატორების ხელში, რომლებიც აცხადებენ, რომ არ სურთ მისი ფლობა. მეორე მხრივ, მე პირადად ვეწინააღმდეგები ამას, რომ ჩართვის მექანიზმი იყოს მობილური ოპერატორების და სასამართლოს ხელში. მობილური ოპერატორები სამივე შემთხვევაში არის უცხოური კომპანიების მფლობელობაში და არც ერთ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს ინტერესებს იცავენ, ამგვარი ტიპის მოწყობა არ არსებობს. მობილური ოპერატორი მაშინ შეიძლება მართავდეს ამ საკითხს, თუ იქ დაცულია მთელი რიგი უსაფრთხოების ნორმები. ჩვენს შემთხვევაში ასე არ არის და სახელმწიფო, ქვეყნის, მოქალაქეების უსაფრთხოებას და სახელმწიფო საიდუმლოებას უცხოურ კომპანიებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ვერ ანდობს. ამასთან, სამართალდამცავებს გართულებული აქვთ ურთიერთობა სასამართლოსთან, ხშირ შემთხვევაში მათ აქვთ წინააღმდეგობები სასამართლოდან რადგან მკაცრად დასაბუთებულ შემთხვევებშიც კი ვერ ახერხებენ ნებართვის მიღებას, აქედან გამომდინარე, ჩემი შეფასებით, ეს გამოიწვევს სრულ კოლაფსს და სისტემა იქნება პარალიზებული“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

კამპანიაში „ეს შენ გეხება“ შემავალმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პარლამენტში ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივა დაარეგისტრირეს. კანონპროექტის ალტერნატიული ვერსია ე.წ. გასაღების სასამართლოსა და სატელეკომუნიკაციო კომპანიისთვის გადაცემას გულისხმობს. არასამთავრობო ორგანიზაციები კანონპროექტის განხილვის გადავადებას ეწინააღმდეგებიან. ისინი აცხადებენ, რომ შს სამინისტროს ე.წ გასაღების დათმობა არ უნდა და სურს შეინარჩუნოს პირდაპირი წვდომა მოქალაქეების პირად მონაცემებსა და კომუნიკაციებზე.

პრეზიდენტმა ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ კანონს ვეტო დაადო

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებს ხელი არ მოაწერა. პარლამენტის მიერ 30 ოქტომბერს დამტკიცებულ კანონპროექტს, რომელიც თებერვლამდე საგამოძიებო ორგანოებს საშუალებას აძლევს კვლავ ჰქონდეთ პირდაპირი წვდომა სატელეფონო მოსმენების მოწყობილობებზე, პრეზიდენტმა ვეტო დაადო.

„საზოგადოებაში კონსესუსია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხზე პოზიცია უნდა იქნას ჩამოყალიბებული და ჩვენ უნდა გადავიდეთ თანამედროვე დემოკრატიულ ფორმაზე სპეცსამსახურების ფუნქციონირებისა. 2012 წელსვე დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა და მივესალმები იმ კანონს, რომელიც მიღებულ იქნა აგვისტოში, თუმცა ბევრი დეტალი ამ კანონისა არ დარეგულირებულა, უმნიშვნელოვანესი თემები დღევანდელი დღისთვის გადაიდო. ამ გადადებას მოყვა კიდევ ერთხელ 1 ნოემბრიდან გადადება რაღაც დროით. ეს ტენდენცია პირველი არ არის ჩვენს ახალ პარლამენტში და ბევრად უფრო გონივრულ რეჟიმში უნდა იქნას გადატანილი ეს ტენდენცია, ბევრად უფრო სწრაფად უნდა ვიღებდეთ იმ კანონებს, რომლებზეც სრული კონსესუსია. კანონები, რომლებიც უკავშირდება დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, უსწრაფეს ვადაში უნდა იქნას მიღებული. ამდენად, მოვუწოდებ პარლამენტს, რაც შეიძლება მალე მიიღოს ეს კანონი და გააკეთოს მთავარი, აღადგინოს ნდობა სახელმწიფოს, აღმასრულებელ სტრუქტურებსა და საზოგადოებას შორის. ნდობის აღდგენა პოლიტიკოსებმა უნდა დავიწყოთ, ამ არგუმენტაციით ვადებ ვეტოს ამ კანონს და იმედი მაქვს პარლამენტი გაიზიარებს ჩემს პოზიციას“, - განაცხადა მარგველაშვილმა.

ვეტოს დადების გამო, ხვალიდან შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს ფარული მოსმენ-მიყურადების და ასევე კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის შენახვის კანონიერი უფლება აღარ აქვს. ძალაში დარჩა პარლამენტის მიერ აგვისტოში მიღებული ნორმა, რომლის მიხედვით, შსს-ს „ოტო“-ს სამსახურს 2014 წლის 1 ნოემბრამდე აქვს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, სერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან, კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებობების გამოყენების, სათანადო აპარატურის და ტექნიკური მოწყობილობების განთავსება-მონტაჟის უფლება.

პარლამენტის მიერ გუშინ დამტკიცებული კანონპროექტით კი, სამართლდამცავებს ამის უფლება 28 თებერვლამდე მიეცათ. ამავე დროში პარლამენტს უნდა მიეღო კანონი, რომლის მიხედვით განისაზღვრება, ვის ხელში იქნება ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ განხორციელებულ საკომუნიკაციო ინფორმაციაზე წვდომის ტექნიკური შესაძლებლობა — ე.წ. გასაღები და ასევე, სად, რა ვადით და რა მოცულობით უნდა ინახებოდეს კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია.

ცვლილებების ორი წელი

ყველა შედეგი, რასაც აქამდე მივაღწიეთ და რასაც უახლოეს მომავალში მივაღწევთ, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის თავისუფლებისა და ღირსებისთვის გვინდა, - საქართველოს პრემიერ-მინისტრი საზოგადოების წინაშე ორწლიანი საქმიანობის ანგარიშით წარსდგა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ორი წლის განმავლობაში თითოეულ სფეროში მიღწეულ წარმატებებზე დეტალურად ისაუბრა და განაცხადა, რომ მძიმე მემკვიდრეობის მიუხედავად, უმნიშვნელოვანესი პრობლემები დაძლეულია.

„ორი წლის წინ ჩვენ, ყველამ ერთად, შევცვალეთ ჩვენი ცხოვრება. არ შემიძლია რამდენიმე სიტყვით არ გაგიზიაროთ ჩემი ემოცია, რომელიც 2012 წლიდან დღემდე მომყვება და რომელიც ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს. 2012 წელს მე დავინახე ერთ მუშტად შეკრული საზოგადოება, რომელიც გაერთიანდა ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად, გაერთიანდა დემოკრატიული ღირებულებების გარშემო და არჩევანი ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების სასარგებლოდ გააკეთა - ქართველმა ხალხმა აირჩია ცხოვრება შიშის გარეშე, აირჩია პერსპექტივა თითოეული ადამიანისთვის, ჩვენი ქვეყნის წინსვლა, განვითარება, კეთილდღეობა და საბოლოოდ უთხრა უარი ძალადობასა და უსამართლობას“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაური მიიჩნევს, რომ ცვლილებები და შედეგები შთამბეჭდავია.

„და მაინც, ხშირად ისმის კრიტიკა, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ამ კრიტიკის, გამო, თუნდაც სრულიად უსაფუძვლო კრიტიკის გამო, დავიჭიროთ ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, დავაშინოთ მათი შვილები და მშობლები, რაც უახლოეს წარსულში, სრულიად სამარცხვინოდ, უამრავმა ჩვენმა მოქალაქემ საკუთარ თავზე გადაიტანა. ჩვენ, განსხვავებული აზრის გამო, არასდროს ხელვყოფთ კერძო საკუთრებას, არ შევიჭრებით ტელევიზიაში და სამაგალითოდ არ დავსჯით ჟურნალისტებს მათი სიუჟეტების გამო. ჩვენ არ ვაწამებთ ადამიანებს და ამით არ დავაშანტაჟებთ მათ ახლობლებს. ჩვენ არასდროს შევქმნით ჩვენგანვე მართულ ოპოზიციას, საკუთარ, დაქირავებულ ექსპერტებს და ჟურნალისტებს. და ჩვენ ამას არ გავაკეთებთ ერთადერთი მიზეზით - ჩვენ ეს არ გვჭირდება! ჩვენ საქმეს ვაკეთებთ ადამიანებისთვის და თუ მათ დავუკარგეთ ღირსება, მაშინ აღარაფერს აქვს აზრი! ჩვენ აღარასდროს დავუშვებთ შეშინებულ და დასტრესილ საზოგადოებას, რადგან თავისუფალი საზოგადოების შექმნას ვუწყობთ ხელს. ჩვენ ადამიანების თავისუფლებას და ღირსებას ვცემთ პატივს! ჩვენ მათთვის ვმუშაობთ და მათ წინაშე ვგრძნობთ პასუხისმგებლობას და ყველა შედეგი, რასაც აქამდე მივაღწიეთ და რასაც მივაღწევთ უახლეს მომავალში, სწორედ ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის, მისი თავისუფლებისა და ღირსებისთვის გვინდა!“- აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თუში მეცხვარეები ცხვრის რეალიზაციაში დახმარებას ითხოვენ

თუში მეცხვარეები ცხვარს ვეღარ ყიდიან და მის რეალიზაციაში დახმარებას ითხოვენ. მეცხვარეების თქმით, ადრე არაბები მათგან თოხლს 100-120 დოლარად ყიდულობდნენ, მას შემდეგ კი, რაც გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთთან ტერმინალი გაიხსნა, ცხვრის საყიდლად აღარ ჩამოდიან.

ერთ-ერთი მეცხვარე გელა ფილიძე ამბობს, რომ აღნიშნულ ბიზნესში ადგილობრივი აზერბაიჯანელებიც ჩართნენ, რომლებიც ერთ სულ ცხვარს მათგან 100-120 ლარად ყიდულობენ და არაბებზე 100-120 დოლარად ჰყიდიან.

„აზერბაიჯანელებმა ბიზნესი აიწყეს, ოღონდ ჩვენს ხარჯზე. არაბებსაც ხელს აძლევთ ასეთი ვაჭრობა, რადგან ისევ ძველ ფასში ყიდულობენ ცხვარს და ტრანსპორტის ხარჯიც არ აქვთ. აზერბაიჯანელები ჩვენამდე არ უშვებენ არაბებს, რათა თავად იხეირონ, ჩვენ კი ნაგებაში ვართ. ათასობით ბატკანი გვყავს გასაყიდი. ბოლოს, ალბათ, თვენახევრის წინ, საუკეთესო, ნარჩევი ბატკანი 150 ლარად გაიყიდა, ადგილობრივმა აზერბაიჯანელებმა წაიყვანეს. ეს იყო და ეს. მას შემდეგ არავინ გამოჩენილა. მწყემსები ერთმანეთს ვუკავშირდებით და ვეკითხებით, მუშტარი ხომ არ გამოჩენილა, მაგრამ უშედეგოდ. რა ვუყოთ ამდენ ცხვარს, არ ვიცით“, - განუცხადა ბპნ.გე-ს მეცხვარე გელა ფილიძემ.

მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარის ბექა გონაშვილის განცხადებით, ქართული ცხვრის რეალიზაცია არაბული დღესასწაულების დროს ხდება, თუშმა მეცხვარეებმა კი ამ დროისთვის მთიდან ცხვრის ჩამოყვანა ვერ მოახერხეს. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში თუ ცხვარს ვერ გაყიდიან, პირუტყვს საკვების დეფიციტი შეექმნება, რადგან წელს გვალვის გამო საძოვრები გადახმა.

„ორი წლის წინ, ქართული ცხვარი 12 ბაზარზე გადიოდა, ახლა თითქმის ყველა დავკარგეთ. წელს, საქართველოში დიდი რაოდენობით სომხური ცხვარი შემოდიოდა და აქედან როგორც ქართული ცხვარი ისე გადიოდა ჩვენს მიერ ათვისებულ ბაზარზე ბევრად უფრო იაფად. თავის დროზე, ჩვენი მრავალი მცდელობის მიუხედავად, ამ ფაქტს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. დროთა განმავლობაში, დაგვრჩა ერთადერთი, აზერბაიჯანის ბაზარი. ქართულ ცხვარზე ყველაზე დიდი მოთხოვნა არაბულ დღესასწაულებზეა, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში იყო. მე ამის შესახებ გავაფრთხილე თუში მეცხვარეები და ვუთხარი, რომ ცხვარი მთიდან ამ დროისთვის ჩამოერეკათ, რადგან მერე ცხვრის გაყიდვა გაუჭირდებოდათ. საშინელი წელი იყო. საძოვრები გადახმა და როგორც ვიცი, ცხვარი თუ ვერ გაიყიდა საკვების დეფიციტი იქნება“, - განაცხადა ბექა გონაშვილმა.

პატრიარქმა ყვარელში 10 სასულიერო პირი დააჯილდოვა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ყვარლის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში 10 სასულიერო პირი დააჯილდოვა. ნეკრესის ეპარქიის წინამძღვარი მიტროპოლიტი სერგი ჩეკურიშვილი ეპარქიის წინაშე გამოჩენილი თავდადებისთვის წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოვდა.

პატრიარქმა ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ ბენიამინ ჩიხორლიშვილის და ყაზანის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ თევდორე ხუციშვილს ორი ჯვრის ტარების უფლება მიანიჭა; დუბის ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ ბადრი არჩვაძეს გაბრწყინებული ჯვრის და მიტრის ტარების უფლება მიენიჭა, ამავე ტაძრის მღვდელმა ავთანდილ ჯავშანაშვილმა კი გაბრწყინებული ჯვრის და მიტრის ტარების უფლებასთან ერთად დეკანოზის ხარისხი მიიღო; დეკანოზის ხარისხით და ოქროს ჯვრით დაჯილდოვდნენ დეკანოზი რევაზ გელაშვილი, მღვდელი გიორგი ხაჩიძე და მღვდელი მარკოზ ხატიაშვილი; ილია მეორემ ნეკრესის მამათა მონასტრის წინამძღვარი ანტონი პავლიაშვილი მღვდელ-მონაზვნის ხარისხიდან იღუმენის ხარისხში აიყვანა, ხოლო მონაზონი თეკლა კამამაძე ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და იღუმენიას ხარისხში აიყვანა.

როგოც პატრიარქმა აღნიშნა, ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტის სერგის დამსახურებით აღნიშნულ ეპარქიაში სულიერი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა.

„მოხარული და ბედნიერი ვარ, რომ დღეს ვიმყოფები ამ წმინდა ტაძარში. ეს ადგილი განსაკუთრებულია. აქ მოღვაწეობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები. ჩვენ ჩამოვედით და ვხედავთ რამდენად შეიცვალა აქ სულიერი ცხოვრება ამ ეპარქიაში. მე მინდა მადლობა ვუთხრა მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ სერგის ამ დიდი ღვაწლისთვის და მე მინდა გადავცე მას ოქროს წმინდა გიორგის ხატი“, - აღნიშნა კათოლიკოს პატრიარქმა.

სასულიერო პირების დაჯილდოების შემდეგ პატრიარქმა ტაძრში მისული მრევლი დალოცა. ილია მეორეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა თამარ ზურიაშვილმა საჩუქრად ილია ჭავჭავაძის ხელნაწერი და მუზეუმის ეზოში ამოსული თუთის ხისგან გამოთლილი შანდალი გადასცა.

პატრიარქმა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში მიბრძანებამდე გრემში არსებული წმინდა აბიბოს ნეკრესელის სახელობის სასულიერო სემინარია დაათვალიერა და ნეკრესის მამათა მონასტერში მცხოვრები ბერები მოინახულა.

დუისში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

200-ზე მეტი ყველაზე მოთხოვნადი სახელმწიფო სერვისი ერთ სივრცეში - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში დღეს საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა.

ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იუსტიციის მინისტრთან ერთად დაესწრო.

სოფლების განვითარება და ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვა საზოგადოებრივი ცენტრების შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

საქართველოში უკვე მოქმედებს 12 საზოგადოებრივი ცენტრი, რომლებსაც წლის ბოლომდე კიდევ 4 შეემატება.

პრემიერის განცხადებით, ცენტრი მოსახლეობას საშუალებას მისცემს, გაეცნოს ახალ სერვისებს, ინიციატივებს და საკანონმდებლო ცვლილებებს.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას ირაკლი ღარიბაშვილი პანკისის ხეობაში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც შეეხო და განაცხადა, რომ მთავრობა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე აქტიურად მუშაობს.

„ჩვენ დავასრულეთ დუისი-ომალოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 5,2 კმ-იანი მონაკვეთის საფარით მოპირკეთების სამუშაო, რომელიც 810 000 ლარის ღირებულებისაა; ასევე დასრულდა სოფელ საკობიანოს შიდა საუბნო გზის საფარით მოპირკეთების სამუშაო - 680 000 ლარის ღირებულების პროექტი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა დუისის N2 საბავშო ბაღს; დასრულდა მდინარე ალაზანზე დუმასტურ-ჯოყოლოს დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდზე სამუშაოების პირველი ეტაპი; ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ საკობიანოს უკვე აქვს მინი სტადიონი მწვანე ხელოვნური საფარით. დუისში, საკობიანოში, ჯოყოლოსა და ომალოში უკვე ფუნქციონირებს ამბულატორიები, რაც დიდი შეღავათია თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის“,- განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მომავალი წლისთვის დაგეგმილია დუისის სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაცია, დუისი-ომალოს დამაკავშირებელი გზის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია და მდინარე ალაზნის ნაპირდამცავი ნაგებობების პრობლემის მოგვარება.

ასევე, განხორციელდება დუისი-წინუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოასფალტება, მოწესრიგდება სოფლების შიდა გზები, გადაიჭრება ელექტრომომარაგების პრობლემა და განხორციელდება ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაცია.

„ჩვენი მთავრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენი ცხოვრების პირობები მაქსიმალურად გაუმჯობესდეს. თქვენი ყოველი პრობლემის სიმძიმე ჩვენ ძალიან კარგად გვაქვს გაცნობიერებული. ჩვენ კიდევ მრავალ გეგმას განვახორციელებთ ხეობაში, არაერთ პრობლემას გადავჭრით და თქვენ სულ უფრო დარწმუნდებით, რომ მარტო არ ხართ. ხელისუფლება თქვენ გვერდითაა“, - მიმართა პრემიერ-მინისტრმა პანკისის ხეობის მოსახლეობას.

პრემიერი საზოგადოებრივი ცენტრის გახსნაზე შეკრებილ ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მოსახლეობას ადგილზე მიაწოდა ინფორმაცია მთავრობის ორწლიანი საქმიანობის შესახებ.

საბავშვო ბაღები გუშინ და დღეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში სასიამოვნო სიახლეა. ბოლო ორი წლის მანძილზე საუკეთესო კვების რაციონით ბავშვების უზრუნველყოფისა და სხვა უამრავი პირობების გაუმჯობესების შემდეგ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრმა ამ წელსაც განაგრძო ბაღებში ინვენტარის განახლება . ამ დღეებში მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში ახალი სკამები, კარადები და მაგიდები გაჩნდა, რაც მშობელთა თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია. სახალისო ფერებიანმა ახალმა კარადებმა პატარა აღსაზრდელების გულებიც გაახარა, მათზე ხომ ყველაფერი ახალი კარგად ზემოქმედებს და სითბოთი აღავსებს.

აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს ვესაუბრეთ.

-ქალბატონო მაია, რა სახის ინვენტარი შევიდა ბაღებში და რამდენ ბაღს მიუვიდა ეს სიკეთე?

- შევიძინეთ ბავშვების მაგიდები, სკამები , ღია კარადები სათამაშოებისთვის და ტანსაცმელისთვის. ასევე მასწავლებლის სკამები და მაგიდები. ეტაპობრივად ახალი ინვენტარი ქალაქისა და სოფლის ყველა ბაღში შევიდა, გარდა ფიროსმანის საბავშვო ბაღისა, ეს ბაღი 2013 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა და ახალი ავეჯის შეტანის საჭიროება აღარ იყო. ახალი მაგიდები და სკამები შევიტანეთ ასევე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში და დაზიანებული ავეჯი შევცვალეთ ახლით.

-საინტერესოა, რა მოცულობის ინვერტარი შეიძინეთ ამ ეტაპზე და როგორ უზრუნველყავით ამ სიკეთისთვის საჭირო თანხები?

- ჩვენს რაიონში ძალიან ბევრი ბაღი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ შიგნით შესვლა და შეხედვა გულს გტკენდა, ჩანბელებული საბავშვო ჯგუფების ოთახები, გამურული კედლები, ძველისძველი იატაკები და კარ-ფანჯრები გულს უკლავდა ყველას, მშობელსაც და მასწავლებელსაც. დღეს ბედნიერი ვარ, რომ საბავშვო ბაგა-ბაღეში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, ამაში ლომის წილი მიუძღვის რაიონის ხელმძღვანელობას და იმ სოფლის მოსახლეობასაც, ვინც პრიორიტეტად სოფლებში საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია აირჩია. რაც შეეხება ამჟამინდელ ინვენტარს, წლის დასაწყისშივე განვსაზღვრეთ თანხა და მოვითხოვეთ ბიუჯეტიდან, რაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დაკმაყოფილებული იქნა. მთლიანობაში 23 000 ლარის ინვენტარი შევიძინეთ, გამოცხადებულ ტენდერში ოთხმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებული ინდ/მეწარმემ განახორციელა ზემოაღნიშნული ინვენტარის მოწოდება.

-გარდა ამისა, ბაღებში ახალი, ძალიან ლამაზი ფარდები გაჩნდა, ეს თქვენ შეიძინეთ, თუ თავად ბაღის ბავშვების მშობლებმა?

ეს ლამაზი ფარდები შეძენილია ჩვენი სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღისთვის. (17 საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი)

ამასთანავე ბაღებს მივაწოდეთ მაღალი ხარისხის პლასტენინი, წებო, სახატავი რვეულები, ფანქრები და ფერადი ქაღალდები. წლის ბოლომდე ყველა ბაღი მომარაგებულია სან-ჰიგიენური საქონლით: ხელის თხევადი საპნით, ტუალეტის ქაღალდით და ყველა სათანადო საწმენდი საშუალებით.

-ამბობენ იმასაც, რომ ბაღში ყოველ საათში ერთხელ დამლაგებელი წმენდავს და ალაგებს, ეს თქვენს მიერ იქნა შემოღებული თუ სტანდარტია ასეთი?

-სტანდარტია ასეთი. დამტკიცებულია ააიპ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის საგენტოს მიერ 2011 წელს. ჩვენს სისტემაში კი წელს დავნერგეთ. ეს არის საპირფარეშოს დალაგების აღრიცხვის ფურცელი, რომელიც ითვალისწინებს , ყოველ ორ საათში დამლაგებელის მიერ უნიტაზის, ნიჟარის , სახელურების და იატაკის განმენდას, ნარჩენების გატანას და გრაფის ბოლოს ხელის მოწერას.

-იქნებ სამომავლო გეგმებზეც გვითხრათ რამე, უნდა ველოდოთ თუ არა 2015 წელს ბაღებში სიახლეს?

- სიახლე, რაც აუცილებლად გვაქვს დაგეგმილი, ეს გახლავთ ის, რომ 2015 წელს საბავშვო ბაღებში შევიტანოთ ყველაზე დიდი მოცულობის სათამაშოები, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა ჩვენი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ისტორიაში. გარდა ამისა, წელს სოფელ არბოშიკის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას გამოეცვალა სახურავი, შეკეთდა კიბის უჯრედი და მოეწყო საკანალიზაციო ქსელი, ხოლო შენობის სრული რეაბილიტაცია 2015 წლისთვის არის დაგეგმილი. ასევე ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფელ სამთაწყაროს ბაგა-ბაღს (კერძოდ შეიცვალა კარ-ფანჯარა მთლიანად, რეაბილიტირებულია იატაკები და მოეწყო წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები). დარჩენილი სრული კოსმეტიკური რემონტი იგეგმება 2015 წლის გაზაფხულზე.

პ.ს. ის, რომ ბავშვობა ყველაზე ლამაზი და მომხიბვლელი ასაკია ადამიანის ცხოვრებაში ყველამ ვიცით, მაგრამ, თუ ბავშვებს ლამაზი საბავშვო ბაღის ოთახებით, საუკეთესო აღჭურვილობით და სათამაშოებით გავანებივრებთ, მის ბედნიერებას საზღვარი არ ექნება. და , თუ მათ ბედნიერი ბავშვობა ექნებათ, ბევრად უფრო ლაღები და თამამები გაიზრდებიან. ბედნიერი მომავალი თაობის გამოზრდა კი, ჩვენი საზოგადოების თვითმიზანია და თუ ამ მიზნისკენ მისასვლელად ხელშეწყობის მცდელობას არცერთი მხარე არ არიდებს თავს, მაშინ არაფერი არ დაგვრჩენია იმისთვის, რომ მადლობა ვუთხრათ უფალს მომავალი თაობის აღსაზრდელად ასეთი დიდი მცდელობისა და წყალობისთვის.

ლალი მეხრიშვილი

მოხუცები გაახარეს

დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის ახლადშექმნილმა ანსამბლმა არსებობის ხუთი თვის მანძილზე მრავალ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. თავდაპირველად ანსამბლის დებიუტი გურჯაანში შედგა, როდესაც ასეთივე ანსამბლთან გამართეს ერთობლივი კონცერტი, შემდეგ არტ-გენის ფინალურ ნაწილში მიიღეს მონაწილეობა, ამას მოჰყვა „ეტალონში“ გამოსვლა, შემდეგ კულტურის სახლში გამართულ პედაგოგებისადმი მიძღვნილ „ცოდნის დღესასწაულზე“ შეასრულეს რამოდენიმე სიმღერა, სულ ორიოდე კვირის წინ კი ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ მირზაანში, „ფიროსმანობის“ სახალხო დღესასწაულზე.

30 ოქტომბერს ახლადშექმნილი ქართული გალობის და ხალხური სიმღერის სკოლის ანსამბლი სათნოების სახლს ეწვია და ტკბილეული მიართვა. ბავშვები ჯერ სათნოების სახლის ბინადართ სადილობისას მოემსახურნენ, შემდეგ კი სიმღერებით გაახალისეს ისინი.

როგორც სკოლის დირექტორმა სოფიო მაჭარაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, ამგვარი საქველმოქმედო სახის აქციები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, რადგან ქველმოქმედება მათი ერთ-ერთი მიზანია.

შეხვედრას დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი და ამ სკოლის შექმნის სულისჩამდგმელი თამარ თამაზაშვილი და სხვა თანამშრომლები დაესწრნენ. „ქართული ხალხური სიმღერა ქვეყნის კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამიტომ მის შენარჩუნებას და პირვანდელი სახით მომავალი თაობებისთვის გადაცემას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ფოლკლორის სკოლის შექმნაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მადლობა გადაუხადა ამ დღისთვის როგორც ანსამბლის ლოტბარს, ასევე ნორჩ შემსრულებლებს, რომელთაც არ დაივიწყეს მოხუცებულები და ამ აქციით სიხარული მიანიჭეს მათ.

სათნოების სახლის ბენეფიციარებმა სკოლის მოსწავლეებს და სტუმრებს დაფასებისთვის და გახალისებისთვის მადლობა გადაუხადეს და ხშირად სტუმრობა სთხოვეს.

დედოფლისწყაროს სამხედრო სააღრიცხვო სამსახურის უფროსად გიორგი იაკობიშვილი დაინიშნა

დედოფლისწყაროს სამხედრო სააღრიცხვო სამსახურის უფროსად გამგეობის იურიდიული განყოფილების სპეციალისტი, 1981 წლის 17 იანვარს დაბადებული გიორგი იაკობიშვილი დაინიშნა. მას ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. თვითმმართველობის ორგანოში დასაქმებამდე ის ადვოკატურაში მუშაობდა.

„შირაქი“-ს ინფორმაციით, მისი წინამორბედი ელიზბარ ალუღიშვილი საბანკო სექტორში გააგრძელებს მუშაობას.

გიორგი იაკობიშვილი გამგეობის იურიდიულ განყოფილებაში მუშაობდა, რომელიც სულ ახლახან სამსახურად გარდაიქმნა.

შეგახსენებთ, სამხედრო სააღრიცხვო სამსახურში საკადრო ცვლილებები მიმდინარე წლის ზაფხულშიც განხორციელდა. რამდენიმე თვის წინ, სამსახურის უფროსი ვაჟა თეთვაძე გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსად გადაიყვანეს, მისი ადგილი კი დასუფთავების სამსახურის უფროსმა ელიზბარ ალუღიშვილმა დაიკავა.

ილია მარტყოფლიშვილი

გთხოვთ, ჰერები გვიწოდოთ!

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს საპატრიარქომ ქალაქ დედოფლისწყაროში მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა გახსნა. პირველ ეტაპზე საგანმანათლებლო დაწესებულება მხოლოდ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ასწავლის. სამომავლოდ კი კონტიგენტი გაიზრდება. ამასთან, ამავე ტერიტორიაზე პანსიონი გაიხსნება, სადაც ჰერეთიდან (საინგილოდან) ჩამოსული ბავშვები ისწავლიან და იცხოვრებენ.

„მისი უწმინდესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსებული სკოლა იმ წმინდანის სახელობისაა, რომელმაც 12 ეპარქიას შორის ხორნაბუჯის ეპარქიაც დააარსა. უწმინდესმა, 5 წლის წინ, დედოფლისწყაროში ყოფნისას, ბრძანა, რომ ხორნაბუჯის ეპარქია სამაგალითო უნდა იყოს სულიერებით და განათლებით. ამიტომ, ჩვენ, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ჩვენი მომავალი ხომ სწორედ ამ ბავშვების ხელთ არის. მომავალში აუცილებლად ჰერეთიდან ჩამოვიყვანთ ბავშვებს, რომ ისინი გავზარდოთ აქ და შემდეგ დაბრუნდებიან ჰერეთში და შეინარჩუნებენ თავის სულიერებას და ქართველობას," – თქვა მეუფე მელქისედეკმა.

სკოლის გახსნა და მისი სამომავლო გეგმები მისასალმებელი და სასურველია, დღევანდელობის აუცილებელი პასაჟია, მით უმეტეს , თუ ასეთი პრეცენდენტი ჩვენს ისტორიაში უკვე იყო. მაგალითად, პოეტი და ისტორიკოსი იაკუბოვიჩი თავის წიგნში „რუსეთის მმართველობის დამკვიდრება კავკასიაში" წერს, რომ საქართველოში გადმოსახლებული განათლებული დეკაბრისტების ინიციატივით სამხედრო ნაწილებთან იხსნებოდა სკოლები, განსაკუთრებით კარგად იყო საქმე დაყენებული ყარაღაჯის დრაგუნთა სკოლაში. ასეთ სკოლებში ზოგჯერ ადგილობრივ მცხოვრებთაც იღებდნენ, კერძოდ ყარაღაჯიდან თუქურმიშაში (ასე ერქვა დედოფლისწყაროს მცირე პერიოდის განმავლობაში მთიელთა მებრძოლის ბუქური მიშას პატივსაცემად, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივ მოსახლეობას ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში) გადატანილ დრაგუნთა სკოლაში აღიზარდნენ შემდგომში ქვეყნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები დიმიტრი მაჩხანელი, მოსე ჯანაშვილი, პროფესორი გ. თავზიშვილი და სხვები. მათ შორის მოსე ჯანაშვილი გახლდათ ჰერეთიდან (საინგილოდან). ის 1855 წელს დაიბადა კახში. კახის სამრევლო სკოლის, ზაქათალის სამაზრე სასწავლებლის და თუქურმიშის ზემოაღნიშნული სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიასა და ქუთაისის გიმნაზიაში, მიიღო მასწავლებლის მოწმობა და პროფესიულ საქმიანობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში. იგი იყო ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. სხვა უამრავ და მრავალდარგოვან ნაშრომთაგან გამოვყოფთ სწორედ ეთნოგრაფულ და



მხარეთმცოდნეობით კვლევებს აფხაზეთსა და საინგილოზე. კახში იყვნენ დაბადებული აგრეთვე ზოოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზოო-გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი არჩილ ჯანაშვილი (1904-1985 წწ.), ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ჯანაშვილი (1840-1905 წწ.), რომელმაც ფსევდონიმად აირჩია „ინგილო-ჯანაშვილი". სხვაც ბევრი გამოჩენილი პროფესიონალის და საზოგადო მოღვაწის ფესვები მოდის ჰერეთიდან, ჩვენ გაორებული წარსული გვაქვს და ხან საინგილოდ და ხან ჰერეთად ვიხსენიებთ იმ ქართულ მიწას, რომელმაც ბევრი ტკივილი და ისტორიული ქარტეხილები გამოიარა. სწორედ ამ თემაზე საუბარი ვთხოვეთ **დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტს** ლალი ბასილაშვილს, რომელმაც რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომზე დაყრდნობით ჰერეთ-საინგილოს ისტორიული წარსულის შესახებ ვრცელი მასალა მოგვიმზადა.

გთავაზობთ ამ საუბარს: საინგილო ეწოდება მხარეს, რომელიც საქართველოს მხარეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ამჟამად კახის, ზაქათალისა და ბელექანის რაიონებით აზერბაიჯანის ფარგლებშია მოქცეული. საინგილოს წარსულში ელისენეს უწოდებდნენ.

საინგილო ლანდშაფტურად შიგნი კახეთის ბუნებრივ გაგარძელებას წარმოადგენს. მისი ჩრდილო ზასღვარი კახეთის კავკასიონის (აღმოსავლთ) წყალგამყოფ ხაზს ემთხვევა, დასავლეთი გაუყვება მდ. მაწიმს (მაზიმ-ჩაის) რომელიც სათავეს კავკასიონის თხემიდან იღებს, გაივლის ლაგოდეხ-ბელაქანს შორის და ალაზანს უერთდება. სამხ. საზღვარი ალაზანს ემთხვევა და იორ-ალაზნის შესაყართან აღწევს. საინგილოს ფართობი 3564 კვ.მ. უდრის. აქ მრავალი ეროვნების ხალხი ცხოვრობს: ქართველები, ავარიელები, აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები და სხვა.

საინგილოს ქრისტიანი ქართველები ძირითადად კახის რაიონში ცხოვრობენ, მათი სოფლებია: კახი, თოფახი, ალიბეგლო, მეშამბაში, ყორაღანი, ქეშხუთანი, ხარაბთალა;

საინგილოში ქართული სკოლები ძველთაგანვე არსებობდა. საქართველოს პატრიარქ ექვთიმეს, რომელსაც XIV საუკუნეში ეპისკოპოსის კირილე დონაურისათვის დაუვალებია სახარების გამრავლება და გაგზავნა ყველა ეკლესიასა და სასწავლებლებში. ქურუმების მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურის ხელმძღვანელობით კაკის წმინდა ბარბარეს ტაძრის მღვდელს იასე ქიტიაშვილს და მის თორმეტ მონაფეს სახარება გაუმრავლებიათ და გაუგზავნიათ საყდრებში, მონასტრებსა და საეკლესიო სასწავლებლებში. იმ დროინდელ სკოლებში ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, საეკლესიო ისტორია, საქართველოს და ავღანეთის ისტორია.

საინგილო უძველეს დროში წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილს და დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით–ჰერებით.

ჰერები ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ძველი ალბანეთის (ახლანდელი აზერბაიჯანის) მიწა-წყალზე დასახლებული ერთ-ერთი ტომი იყო, რომლის შერწყმა ქართულ ტომებთან ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიწყო და V საუკუნეში ჰერეთი უკვე ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანა იყო და მის ერთ-ერთ საერისთაოს შეადგენდა. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალი ჰერეთის საერისთაოს აღმოსავლეთ ნაწილში - გიშში საეპისკოპოსოს აარსებს. ამ პერიოდში ქართლის სამეფოს აღმოსავლეთით საზღვარი მდინარე გიშის წყლის გაღმა ნუხის (შაქი) მიდამოებსაც მოიცავდა, ხოლო ჩრდილოეთ კახთის კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობზე გრელდებოდა და მბრძანებლობდა დაღესტნის ცალკეულ პროვიციებს.

ქ. ნუხის (შაქი) ჩრდილოეთით 6 კმ-ის მოშორებით მდებარეობს გიშის ტაძარი, გიშ-ქურმუხის ყოფილი რეზიდენცია, აღნიშნული გრიგოლისძეთა სამფლობელო ქვეყანა, ციხე გიშით ქართული ჰერეთის უკუდურესი აღმოსავლეთი ნაწილი იყო. გიში VIII საუკუნიდანვე ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს ადგილსამყოფელი იყო ჰერეთში. აქვე იჯდა ქართველი ეპისკოპოსი.

ჰერეთის დამოუკიდებელი სამთავროს ორგანიზაცია დაახლოებით VIII საუკუნის დასასრულზე უნდა მოდიოდეს. ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთის სამთავროს შექმნას ქართლის ერისთავის ჯუანშერის გარდაცვალებას უკავშირებს, რომლის სიკვდილის თარიღად ის 787 წელს ასახელებს. ჰერეთის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთულის სათავეში დგას მთავარი, რომელიც უკვე IX საუკუნის მიწირულს იღებს მეფის ტიტულს. ჰერეთის მთავრები უნდა ყოფილიყვნენ ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელნი.

ეს საგვარეულო ფლობდა მთელ ქართულ ჰერეთს შაქიდან გულგულამდე (თელავამდე).

კახეთისათვის ჰერეთის შემოერთება მის სასიცოცხლო ინტერესებთან იყო დაკავშირებული. კახეთის მიერ ჰერეთის შემოერთება უძველესი დროიდანვე დაწყებული ისტორიული პროცესის კანონზომიერი დაგვირგვინებაა, პროცესის, რომელიც ფაქტიურად მთლი ქართული მიწების ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანებით უნდა დამთავრებულიყო.

1010 წელს საართველოს მეფე ბაგრატ

III კახეთსა და ჰერეთს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ფარგლებში აქცევს. მაგრამ მალე, 1020 წელს, კახეთ–ჰერეთის დიდებულთა ერთმა ჯგუფმა ისარგებლა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით და ბიზანტიის კეისრის დახმარებით შეძლო კახეთ-ჰერეთი კვლავ გამოეყო საქართველოსგან. კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკემ სატახტო ქალაქად თელავი აირჩია. კახეთის სამეფო დაიყო 7 საერისთაოდ. საინგილოს ტერიტორია მაჭის საერისთაოში შედიოდა.

1103 წელს დავით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთი კვლავ საქართველოს შემოუერთა და ერისთავებად თავისი ერთგული პირები დანიშნა. 1117 წელს დავით აღმაშენებელმა შემოიერთა ქართული ჰერეთის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი გრიგოლისძეთა სამფლობელო ქვეყანა ციხე გიშით.

XI–XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში ფეოდალურმა საქართველომ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ძლიერებას და კულტურულ აღმავლობას მიაღწია. იგი ახლო აღმოსავლეთში ერთერთ უძლიერეს მონარქიულ სახელმწიფოდ ითვლებოდა. ქართველთა ეკონომიკურ და კულტურულ გაძლიერებას მოჰყვა ქალაქების, სოფლების და კულტურის ძეგლების მშენებლობა, რომელთა ნაშთები ამჟამად საინგილოში მრავლად გვხვდება. შემორჩენილ ძეგლთაგან შეიძლება დავასახელოთ გიშის ღვთისმშობლის ტაძარი, ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი, კახის სამების საყდარი და წმინდა ბარბარეს საღდარი, ყუმის ღვთისმშობლის ბაზილიკა, ზაგემის ღვთისმშობლის საყდარი, ლექუთის დედათა მონასტერი და სხვა.

XIII საუკუიდან საქართველოს მძიმე პერიოდი ეწყება; შემოესივნენ და ხანგრძლივად აოხრებდნენ მონღოლები, ჩამოართვეს ყმადნაფიცი ქვეყნები. XIV საუკუნის ბოლოს დაისაკუთრეს საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი - საარშიანო და იგი შაქის სახანოდ აქციეს. მის დაბრუნებას ქართველები დიდხანს ცდილობდნენ, მაგრამ შემდგომი ავბედობის გამო მას საქართველოს საზღვრებში დაბრუნება აღარ ეწერა.

აღნიშნილი პერიოდის შემდგომ საქართველოსათვის განსაკუთრებით დამღუპელი იყო თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევა (1385-1403 წწ.) მისი არმია ყველაფერს ანგრევდა და წვავდა, ტყვეებად მიერეკებოდნენ ქართველებს, ხოლო ალაზან-ივრის სანაპიროებზე მონღოლურ-თურქმანული წარმოშობის მომთაბარე ტომებს ასახლებდნენ. ეს კი ქართველების შევიწროებას და აყრას იწვევდა.

საინგილოს ქართველები მტკიცედ იცავდნენ რჯულსა და ენას. გამაჰმადიანებას ზოგჯერ მშობლიური მიწა-წყლის დატოვებას არჩევდნენ. ასეთმა მდგომარეობამ აიძულა, მაგალითად წერეთლები, რომ საინგილოს მშობლიური მიწიდან აყრილიყვნენ. 1395 წელს მეფე ბაგრატმა ისინი საჩხერს დაასახლა და თავადობა უბოძათ.

მეფე ფიორგი VIII-მ 1471 წელს თავის სამეფოში საერისთაოები გააუქმა და მის ნაცვლად უფრო წვრილი ერთეულები -სამოურავოები შქმნა. ამასთან ერთად კახეთი დაყო ოთხ სადროშოდ–სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულად. სადროშოების მეთაურებად ინიშნებოდნენ ეპისკოპოსები. ამ რეფორმის შედეგად ტერმინი ჰერეთი გაქრა პოლიტიკური სარბიელიდან.

XVII საუკუნეში 1614-1616 წლებში შაჰაბასის შემოსევებმა კახეთის სამეფო მოსპობის პირას მიიყვანა, შაჰის ბრძანებით ირანელები ყველაფერს სპობდნენ–ადგილობრივ მოსახლეობას, სოფლებს, ქალაქებს, კულტურის ძეგლებს და მეურნეობას. საქართველოს ისტორიაში უმაგალითო დღეები დადგა, ველური ენერგიით ანგრია მტერმა სასახლეები, ციხეები, ეკლესია-მოსატრები, ვინც გაწყვეტას გადაურჩა, სპარსეთს გადაასახლა. შაჰ-აბასის შემოსევებისაგან ქართლზე მეტად კახეთი დაზარალდა, თვით კახეთში კი მისი აღმოსავლეთი ნაწილი – დღევანდელი საინგილო. ეს იმიტომ მოხდა, რომ აღმოსავლეთი კახეთი უშუალოდ დაღესტანს ესაზღვრებოდა და ყველა სახიზარი, სადაც ამ მხარის მოსახლეობა აფარებდა თავს, ლეკთა ველური ბანდების სათარეშო გახდა.

ლეკები ძალას არ ზოგავდნენ კახეთის დასაპყრობად. მართალია, კახელებმა დაამარცხეს ლეკები, მაგრამ საინგილოდან ვერ განდევნეს. მათ ეს მხარე საგულდაგულოდ დაიმორჩილეს და ქართველების გამაჰმადიანებას კიდევ უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდეს ხელი.დაღესტნელმა ლეკებმა წესად გაიხადეს აღმოსავლეთ კახეთზე თავდასხმა. ამასთან იმატა აქ ლეკების ჩამოსახლებამ, ხანების ხელის შეწყობით, ისინი ქართულ სოფლებში სახლდებოდნენ და ქართველებს ძალით ამაჰმადიანებდნენ–ალეკებდნენ, ქართველები მოახალშენე ლეკებში ითქვიფებოდნენ. ასე წარმოიშვა დღევანდელი ლეკური სოფლები: ბელექანი, კატეხი, გოგამი, ჭარი და სხვა.

XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ კახეთის ლეკები ერთიანდებიან ორ პოლიტიკურ ერთულში. წახურული ლეკები–ელისეს სასულთანოდ, ხოლო ავარიელები– ჭარ-ბელაქნის თემად. მათ არ ისურვეს ქართველი მეფის მორჩილება, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს და გაიმარჯვეს კიდეც. ასე ჩამოსცილდა საქართველოს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საინგილო-ჰერეთის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი.

დაღესტნელი ფეოდალები და მოლები მეტად მძიმე პირობებს უქნიდნენ საინგილოს მკვიდრ მოსახლეობას- ჰერებს. ტერორის, დაშინებისა და იძულების გზით ისლამს ნერგავდნენ, ეროვნული გადაგვარების საფრთხეს უქმნიდნენ მოსალეობას. ქრისტიანული მოსახლეობა მცირდებოდა,

(გაგრძელება გვ. 6)

ჩემი თვალით დანახული სამყარო

რამდენიმე დღის წინ მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა კიდევ ერთ ლამაზ გამოფენას უმასპინძლა. ამჯერად დედოფლისწყაროს საზოგადოება ნიჭიერი შემოქმედის , მხატვრის და ხელოვანის რუსუდან კიკილაშვილის ფოტოგამოფენის გაეცნო. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს რუსუდან კიკილაშვილი 35 წლის გახდა და ის ამ გამოფენით იუბილესაც აღნიშნავდა. ხატვის პედაგოგის და გობელენების უბადლო ოსტატის - ქალბატონ რუსუდან კიკილაშვილის ამპლუაში წარმოჩენა, მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა დამთვალიერებლისთვის. ისე რომ, მისვლისთანავე დამთვალიერებელი სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდა. ცხადია, გამოფენის ინიციატორმა ჩვენი აღფრთოვანება ნამდვილად შეძლო, მან ჩვენი ლამაზი ქვეყანა – საქართველო სულ სხვა თვალით და სხვა კუთხით დაგვანახა. ფოტოებზე აღბეჭდილი პეიზაჟები, საოცრად ლამაზი მინდვრის ყვავილები, მთაში მიმავალი ზიგზაგიანი გზები და ტაძრების ნანგრევები, რომელიც ძირიდადად მთის ბუნებას ასახავდა, გამოფენის სტუმრებისთვის ახალი სამყაროს აღმოჩენა გახლდათ.

-„აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, რუსუდანი ნიჭიერი და ჭკვიანი გოგოა, რომელმაც დღეს სასწაული გვაჩვენა და განგვაცდევინა, შემოქმედი ჩვენს თვალწინ გაიზარდა, ის უდაოდ ხელოვანია და ეს მის დღევანდელ გამოფენასაც ეტყობა, მე დღეს უკეთ დავინახე ჩემი საქართველო, თუ ასეთი ლამაზი იყო ჩვენი ქვეყანა, კიდევ არ ვიცოდი, პატარა შენიშვნაც მაქვს, შემოქმედისგან დღეს სახეები და ადამიანები დამაკლდა, იმედია, შემდეგისთვის გაითვალისწინებს ამას და მხოლოდ ბუნებით არ შემოიფარგლება, მიუხედავად ამისა, ვულოცავ და კვლავ უამრავ გამოფენას ველით მისგან. “-აღნიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის დირექტორმა ქალბატონმა ცარო მარტიაშვილმა.

-„რა თქმა უნდა, ვულოცავ რუსუდანს დღევანდელ იუბილეს და ამ მშვენიერ გამოფენას, რითაც უკეთ დაგვანახა, თუ რა უნდა გვითხრას შემოქმედმა ამით, მთავარი გზავნილი უკვე წაკითხულია, მას სურს, უფრო მეტად შეგვაყვაროს ჩვენი სამშობლო, რომელიც ასეთი ლამაზი და მშვენიერია. მე, რა თქმა უნდა, როგორც არქიტექტორი, პროფესიული თვალსაზრისით ვუყურებ ყოველივეს და ამ შემთხვევაში რუსუდანთან მქონდა პატარ-პატარა შენიშვნები, მის ნამუშევრებს უფრო მეტი სივრცის შეგრძნება სჭირდება, მომავლისთვის, ალბათ, გაითვალისწინებს, დღევანდელი დღე რუსუდანისთვის წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ვხედავთ, რამდენი დამთვალიერებელი მოვიდა.“-თქვა არქიტექტორმა სერგო ქართველიშვილმა.

-„დღევანდელი გამოფენა და ამ ფოტოების შექმნა ჩემს მიერ მოგზაურთა კლუბის შექმნამ განაპირობა, იქ ნანახი მინდოდა სხვისთვისაც გამეზიარებინა, დღეს უკვე ნათლად ვიცი, რომ ფოტოხელოვნებას ჩვენს რაიონში ბევრი მნახველი და შემფასებელი ჰყავს, შეჩერებას აღარ ვაპირებ. ულამაზესი სამყარო, ულამაზესი მთა. მთის სიყვარულმა ისე შემიპყრო, რომ აუცილებლად კიდევ და კიდევ ვივლი, რადგან ახალი კადრები აღვბეჭდო.მიყვარს სიმარტოვე და ამიტომაც დავდივარ მთაში, სადაც მარტო ფოთლების შრიალი მესმის, ეს მაწყნარებს და ჩემს ემოციებზე დადებითად აისახება.

ჩემი შემდეგი გამოფენა გაზაფხულზე იგეგმება თემით – „ნასახლარებზე“. მას ერთ თვეში მოყვება უკვე ჩემი სულის ამოძახილი - ჩემი გობელენების გამოფენა. 2015 წელს ვგეგმავ 3 გამოფენას. ჩემი გეგმები და სურვილები ძალიან ფართო მასშტაბებს მოიცავს, მინდა, ბევრი ნიჭიერი ადამიანი აღმოვაჩინოთ და გავიყვანოთ ხელოვნების დიდ გზაზე. მოგეხსენებათ, მე ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ხელოვნებას ვასწავლი და აქედან გამომდინარე, ნოემბერში ნეჩვოლოდოვის მუზეუმში ვგეგმავ ჩემი მოსწავლის, ნიჭიერი პატარა ბიჭის ლექსო ბუთხუზის გამოფენას. მას მოყვებიან კიდევ სხვა ბავშვები. გეგმები ბევრი მაქვს და ჩემი ცხოვრების გზაზე, ყველა გეგმას განვახორციელებ. უახლოეს მომავალში ორდღიან ტურში მივემგზავრები, რათა ახალი კადრები აღვბეჭდო ფოტოობიექტივზე. ყველა შენიშვნა, რაც დღეს აქ მომცეს, გათვალისწინებული იქნება და მე უკეთესი ხედვით წარვდგები თქვენს წინაშე. რას ვითხოვ ადამიანებისგან? - არაფერს ბევრს, მხოლოდ ღიმილიან სახეს. ჩემთვის ესეც საკმარისია. მადლობა ყველას, ვინც მობრძანდა და დამაფასა, ვინც ჩემი ნამუშევრები იხილა.“

წარმატებები, რუსუდან!

ლალი მეხრიშვილი

იაკობის კვალზე გაზრდილი მომავალი

საზეიმოდ მოურთავთ სამრეკლოს საჯარო სკოლის ფოიე დაწყებითი კლასების მასწავლებლებს. აქ ზეიმისთვის ფართო ასპარეზია. დასრულდა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური კავშირის ინიციატივით ჩატარებული იაკობ გოგებაშვილის კვირეული თემაზე: „წარსულის შვილი, აწმყოს აღმზრდელი და მომავლის გადია“. დღეს ამაგის დაფასების დღეა.

ილხენდნენ ბავშვები, იღიმებოდნენ იები, ზეიმი ჰქონდათ ჩიტებს. იცით, რამდენი ბავშვი იყო? რამდენიც იმ საოცარ კიდობანში, უჩინარი კაცი რომ ჩასცქეროდა, ყველგან დაატარებდა და ეფერებოდა ცქრიალა გოგო-ბიჭებს. ახლაც ასე იყო. დერეფანში ბრძნული ნაბიჯებით დადიოდა იაკობი (ნიკოლოზ მაისურაძე) და უხაროდა მისი ნაფიქრალი გულის ფიცარზე რომ დაეწერათ პატარებს. აქ შეხვდა ის თხასა და გიგოს, პატარა ვანოს, ბულბულებს. მწერლის ღვაწლის შესახებ გვიყვებიან წამყვანები მზიკო ბენაშვილი და ლიკა ტოკლიკიშვილი. 25 წლისას შეუდგენია „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, მერე „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „კოკორი“, „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კონა“. ამ წიგნებიდან ხან დაგვარიგეს და ხან გაგვაცინეს პერსონაჟებმა: საბა ზურიკაშვილმა და ვალერი სისაურმა, ნანიკო წყარუაშვილმა და ტატო იაკობიშვილმა. მოჩხუბარმა ბავშვებმა- გიგა ლეკაშვილმა და ნინი ღორაშვილმა გაგვახსენეს, რომ თხასთან შერკინებაში დამარცხდა ზარმაცი გიგო (გიორგი ტალიაშვილი). ფრინველების (სალომე ჯოჯიკაშვილის, ნატალი ბოსტოღანაშვილის) დახმარებით სწავლა გადაწყვიტა ზარმაცმა ვანომ.

მოწონება დაიმსახურა „ვანოს ლეკურმა“. სკოლაში წასვლასლეკურის ცეკვა ამჯობინა ვანომ (აკაკი ყოჩიაშვილი, გიორგი ნაზღაიძე). „ანი-ბანი-განი“-ამ ცეკვით გამოხატეს ანბანის სიყვარული ანი ბოსტოღანაშვილმა, გვანცა ლეკაშვილმა, თამთა გონაშვილმა, მარიამ ჯეთერიშვილმა, მაკა ბენაშვილმა. ცეკვას ცეკვა სცვლიდა. გოგებაშვილის ძარღვიანი სიტყვა ფანდურზე აამღერა მარი კვანჭილაშვილმა. სამშობლოს ეტრფიალებოდა მხატვრული კითხვის კონკურსში გამარჯვებული ლიკა ტოკლიკიშვილი. შეჯამდა კვირეულის შედეგები. კედლიდან ნაირფერ ფერთა გამა იწონებდა თავს. პატარა მხატვრებს ბუნებაში გადაენაცვლათ. უხაროდა გამარჯვება მეოთხეკლასელ ლუკა ხუნაშვილს. კალიგრაფიის კონკურსში მონაწილე ბავშვებს მრგვალ ჩუურთმებად გამოეყვანათ ქართული ასოები. წარმატებას იფერებდნენ ლუკა ბიბილაშვილი, ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილი, ნატალი ბაცაცაშვილი. ფოიეში იღვრებოდა მზე, ხმაურობდნენ პერსონაჟები, გვესაუბრებოდნენ ნახატები შესაბამისი ანდაზებით. კვირეულმა მნიშვნელოვანი ფურცელი შემატა სკოლის მატიანეს. ჩატარდა საზეიმო გაკვეთილი „ანბანის შემობრძანება“.

სკოლის დირექციისგან მადლობას იღებდნენ დაწყებითი კლასების პედაგოგები: მარინე ლაპიაშვილი, ნანა სულაშვილი, ნინო ხუციშვილი, ია უსტიაშვილი.

ზეიმზე ერთი პაპა შვილიშვილთან ერთად ეფერებოდა ლურჯთვალა იებს(ნიკა ყოჩიაშვილი, გიორგი ჩიბუხაშვილი).

ისევ ეძებდა იაკობი პირველ სიტყვას პირველი გაკვეთილისთვის... ცაზე ვარსკვლავებით ეწერა ქართული სიტყვა „აი ია“. ცას 33 მზე ამშვენებდა... მზე კი მარადიულია.

ზეიმზე ერთი პაპა „ჰარი-ჰარალეს“ მღეროდა და ეიმედებოდა იაკობის კვალზე გაზრდილი მომავალი.

ლუიზა ლეკაშვილი,
სამრეკლოს საჯარო სკოლის მასწავლებელი

ფერგადასული ფურცლები გვიამბობენ

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ბევრი საინტერესო, დამსახურებული ადამიანების ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი მასალები ინახება, დღეს ერთ-ერთ მათგანზე მოგითხრობთ.

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი თავის ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას იმ საქმეს ახმარენ, ურომლისოდაც სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ და მათი არსებობის უზენაეს მოვალეობად მიაჩნიათ. ისინი მოფუსფუსე ფუტკარივით თავს ევლებიან საყვარელ საქმეს და ამით უდიდეს კმაყოფილებას ღებულობენ. ქალბატონი **რაია ლაპიაშვილი** ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თეატრს მიუძღვნა.

რაია ლაპიაშვილი დაიბადა წითელწყაროში (დედოფლისწყაროში) ,აქვე მიიღო განათლება, შემდეგ ჩაეწერა სამსახიობო კურსებზე, რომელიც გაიხსნა აკაკი ინჯიას თაოსნობით. ერთი წლის შემდეგ გადადის სიღნაღში ამ ქალაქის თეატრის დირექტორ მიხეილ ბოგდანის ძე იარიჩთან და სწავლას იქ აგრძელებს. შემდეგ იყო წითწლწყაროს სახალხო თეატრში...

სახელმწიფო თეატრის შექმნამდე, მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, წითელწყაროში იყო თეატრალური კოლექტივი, რომელსაც რეჟისორობდა ადგილობრივი მცხოვრები მიშა მენთეშაშვილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს და აღარც დაბრუნებულა.

1944 წლის ივნისის თვეში წითელწყაროში შეიქმნა სახელმწიფო ქართული თეატრი. თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი აკაკი ინჯია. 1944 წლის 15 ოქტომბერს, მაშინ, როდესაც, ჯერ კიდევ ომი მძვინვარებდა, წითელწყაროში თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა. დაიდგა ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“, სადაც ნენოს როლი რაია ლაპიაშვილმა შეასრულა. პირველ როლს სხვა როლებიც მოჰყვა. წითელწყაროს სახალხო თეატრმა 1944 წლიდან 1947 წლამდე დადგა 13 სპექტაკლი, სადაც ქალბატონმა რაიამ ყველა სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა.

1946 წლის იანვარში წითელწყაროს თეატრმა აჩვენა ავქსენტი ცაგარელის პიესა „ხანუმა“, სადაც რ. ლაპიაშვილმა შეასრულა კინტოს როლი.

შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, 1962-63 წლებში ის იწყებს მუშაობას რუსთავის სახალხო თეატრში, 90-იან წლებში რუსთავის საბავშვო თეატრშია, შემდეგ კი თოჯინების თეატრში. რაია ლაპიაშვილის შემოქმედებაზე და მის აქტიურ ცხოვრებაზე წერდნენ საგაზეთო სტატიებში, როგორც წითელწყაროს რაიონული გაზეთი „ახალი შირაქი“, ასევე ქ. რუსთავის „სოციალისტური რუსთავი“ და „მეტალურგი“. რუსთავის მეტალურგთა კულტურის სახლის ქართულმა თეატრალურმა კოლექტივმა მოამზადა და რუსთაველ მაყურებელს 1965 წელს უჩვენა ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“. ამ პიესამ დიდი მოწონება დაიმსახურა.1964 წლის დეკემბერში რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული თოჯინების თეატრმა დადგა აზერბაიჯანული ზღაპრების მოტივზე დაწერილი (ავტორები ე. ჩერნიაკი და გილოდი) ახალი დადგმა „გიული და თაზოლანი“. მთავარი როლი–გიული, განასახიერა რაია ლაპიაშვილმა-კაცაძისამ.

არავინ არ იცის, რა გზას აირჩევდა რაია ლაპიაშვილი, ან როგორ წარიმართებოდა მისი მომავალი ცხოვრების გზა, წითელწყაროში დრამატული თეატრი რომ არ დაარსებულიყო.

ქალბატონი რაია შემოქმედებითი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა ყველა როლის შესრულებას, თავისი შესრულებული ყველა გმირი „საკუთარ შვილად“ მიაჩნდა.

მსახიობი ქალბატონი დაჯილდოებულია სიგელით ქალაქ რუსთავის კულტურის განყოფილების მიერ საბავშვო სახელმწიფო თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის. აგრეთვე რუსთავის კულტურის, სპორტის და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის მიერ დაბადებიდან 80 და სასცენო მოღვაწეობის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და ქ. რუსთავის სახელმწიფო საბავშვო თეატრის კოლექტივის სახელით ექვსი ათეული წლის მანძილზე გაწეული თავდაუზოგავი შრომისათვის.

ქალბატონი რაია ერთნაირი სიყვარულით და ერთგულებით ასრულებდა, როგორც კაპრიზი, ფუფუნების მოყვარული ქალის, ასევე ნაზი, სათუთი მანდილოსნის როლს.

ცალკეა აღსანიშნავი სალიხეს როლი მისი შესრულებით. გლეხის ქალი სალიხე შურიანი, გულბოროტი და მეტად ნოწორაქია, რომელმაც აღარ იცის, საიდან იშოვოს ფული, სიმდიდრე. ამიტომ იყო, რომ შვილიც კი „საშოვარზე“ გაგზავნა. რუსთაველ მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება რაია ლაპიაშვილის მიერ შექმნილი სალიხეს შთამბეჭდავი სახე.

მშვენიერი ქალბატონი რაია ლაპიაშვილი-კაცაძე, იყო შესანიშნავი ადამიანი, რომელიც უანგარო, მუხლჩაუხრელი შრომით და რუდუნებით ემსახურებოდა თავის ხალხს, საქართველოს, გაუსაძლისი ყოფისა და სიდუხჭირის მიუხედავად, იგი ყოველთვის მხარში ედგა თეატრალურ საზოგადოებას.

მან დატოვა შესანიშნავი, თბილი, ლამაზი ოჯახი. მისი ერთადერთი ვაჟი გივი კაცაძე ერთგული, კარგი მეუღლე და შესანიშნავი შვილების მამაა. მას ჰყავს გულისხმიერი, სათნო მეუღლე მარინა გოგილაშვილი, ორი ქალიშვილი-ია და ეკა. ია დაოჯახებულია, ჰყავს საუკეთესო მეუღლე დავით ჩირიკაშვილი და პაწია, ლამაზი გოგონა ანა.

მართალია, ქალბატონი რაია დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მან წარუშლელი კვალი დატოვა თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით და კარგი ადამიანობით.

თამარ ჯავაშვილი,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი.

გთხოვთ, ჰერები გვიწოდოთ!

(მეოთხე გვერდიდან)

ერთი მხრივ გალეკებისა და გამაჰმადიანების, ხოლო მეორე მხრივ-ალაზან გამოღმა კახეთში გადმოსახლების გამო (ასე წარმოიშვა დედოფლისწყაროში ალაზნის პირას მდებარე სოფელი „სამთაწყარო“).

გამაჰმადიანებულ ქართველ ჰერებს უწოდებდნენ „იანგილოებს“, რაც თურქულად ნიშნავდა „ახალს - ახლად მორჯულებს“. აქედან გამომდინარე „ინგილო“ არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნებაა, ე.ი. „ინგილო“ როგორც ერი, არ არებობს, ინგილოები ჰერელები არიან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე II ბევრს ცდილობდა, რომ აღმოსავლეთი კახეთი საქართველოსათვის დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ.

1803 წელს 12 მარტს რუს-ქართველთა ერთობლივი ჯარით, რომელსაც ციციანოვი (კავკასიის მთავარმართებელი) სარდლეობდა, ჭარ-ბელაქნის შემოერთებისათვის დაიწყო ბრძოლა, რაც მათივე გამარჯვებით დამთავრდა, საინგილო გაერთიანებული იქნა ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქში, ხოლო 1860 წლიდან ზაქათლის ოლქში, რომელიც თბილისის გუბერნიაში შედიოდა.

1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში ხელი მოეწერა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა ოფიციალურად აღიარა ზაქათლის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში. ხელშეკრულების მე-4 მუხლში ვკითხულობთ: „რუსეთი ვალდებულობს, უეჭველად ცნოს საქართველოს შემადგენლობაში ზაქათლის ოლქი“.

1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ „საქართველოს კონსტიტუციაში“ უკვე ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული, რომ ზაქათლის ოლქი წარმოადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს და მას ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლება ენიჭებოდა.

რამოდენიმე თვეში ვითარება კარდინალურად შეიცვალა, ისევ და ისევ „ზემოდან დანოლით“. საქმე ის არის, რომ ამ დროს რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ მოსკოვიდან ახლადჩამოსული იოსებ სტალინი, სწორედ ორჯონიკიძისა და სტალინს შორის შეთანხმების შედეგად საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს ძირძველი კუთხის–ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილის საინგილოს აზერბაიჯანისადმი გადაცემა. მოგვიანებით, 1921 წლის 15 ნოემბერს ეს თავსმოხვეული შეთანხმება დაამტკიცა ბუდუ მდივანისა და მუხტარ გაჯიევის ხელმოწერამ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღესაც ქართველთა ერთი ნაწილი არ იცნობს საინგილოს, არ იცის ინგილოთა წარსული და ახლანდელი ცხოვრების პირობები, ზოგიერთი მათგანი მაჰმადიან ინგილოებს „თათრებს“ უწოდებს, რაც ინგილოთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს. საინგილოს ქართველთა გამაჰმადიანება მათი სურვილით არ მომხდარა და იძულებით რელიგიის გამოცვლით კი ეროვნება არ იცვლება.



გიშის ღვთისმშობლის ტაძარი

* * *

რამდენიმე თვის წინ, როცა სამთაწყაროში მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის პროვოკაციულად დაიძაბა სიტუაცია, ჩვენს გაზეთში ამ მოვლენებთან დაკავშირებული რეპორტაჟები იბეჭდებოდა, სადაც ხშირად ვიყენებდით ტერმინს „ინგილოები“. ერთხელაც რედაქციაში სატელეფონო ზარი გაისმა და სამთაწყაროდან მოქალაქემ გვთხოვა: ნუ მოგვიხსენიებთ ინგილოებად, ჩვენ ჰერელები ვართ, სისხლით, ხორცით და რწმენით ქართველებიო. ჩვენ ვცდილობთ, გავითვალისწინოთ მათი სამართლიანი მოთხოვნა.

ძვირფასო მკითხველებო, ვიმედოვნებთ, თქვენთვისაც საინტერესო იქნება ეს ისტორია. რაც შეეხება დღევანდელობას, არც დღეს არიან დალხინებულნი ჰერელები. თანდათან მცირდება ქართული სკოლების რიცხვი. მათ აკლიათ ქართული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები. წინგადადგმული ნაბიჯია ჰერეთის ეპარქიის შექმნა, მაგრამ იქ ეპისკოპოსის დანიშვნა დღემდე გაჭიანურებულია. ვფიქრობ, უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო სახელმწიფოებრივ დონეზე, რათა არ დაიჩაგრონ სხვა ქვეყნის მეურვეობაში მცხოვრები ჩვენი ჰერელი ძმები.

ნაირა გორაშვილი

ზაქათალა

ძალადობის კიდევ ერთი შემთხვევა

ძალადობა ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ გახშირდა. ამის მიზეზებზე ბევრს საუბრობენ ფსიქოლოგები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, თუმცა, ეს მსჯელობა შედეგზე ჯერჯერობით არ აისახება. ამის დასტური რამდენიმე დღის წინ ჩვენს რაიონში დაფიქსირებული მოვლენა გახლავთ. ქმარმა 31 წლის შვიდი თვის ორსულ მეუღლეზე ისეთი ძალადობა განახორციელა, რომ ქალბატონის და ბავშვის სიცოცხლე ბეწვზეა გადარჩენილი. 27 ოქტომბერს დედოფლისწყაროს საავადმყოფოში იასა აბესაძე სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მიერ იქნა შემოყვანილი. მას სხეულზე მრავლობითი დაჟეჟილობა, ხელის მოტეხილობა და ტვინის შერყევა დაუფიქსირდა. მოგვიანებით ექიმებმა გაარკვიეს, რომ 7 თვის ორსული იასა მეუღლის, არბოშიკის მკვიდრის -შალვა ჯალიაშვილის მიერ იყო ნაცემი. მას საკუთარმა მეუღლემ ხის სკამი თავში რამდენჯერმე დაარტყა, რეზინის ჩექმის გადანაჭერი სახეში შემოსცხო და ორჯერ ძლიერი სილა გაარტყა, რის შემდეგაც მას ცხვირ-პირიდან და შუბლიდან სისხლი წასკდა. შემთხვევას იასას 13 წლის გოგონაც შეესწრო, რომელიც მამას დაჟინებით სთხოვდა, რომ მისი დედისთვის არ ეცემა, მაგრამ ამაოდ... ფაქტი, რაღა თქმა უნდა, საზარელი და შოკისმომგვრელია, მაგრამ ჩვენს მიერ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

-„კაკაბეთიდან ვარ, 15 წლის გავთხოვდი სოფელ ბოდბეში, ქმარი მოძალადე იყო, უხასიათო, გამუდმებით მშობლებს ეჩხუბებოდა, მასთან ორი გოგონა მყავდა, ერთხელაც ჩემმა ქმარმა მშობლები ისე სცემა, რომ საკუთარი დედა შემოაკვდა, ჩემი შვილები ისეთ საშინელებას უყურებდნენ, ვეღარ გავუძელი და წამოვედი, შემეშვა, არც არაფერი დაუშავებია წამოსვლის შემდეგ ჩემთვის, მას მერე მშობლებთან ვცხოვრობდი კაკაბეთში და ორ შვილს ვზრდიდი, 7 წლის წინ გარიგებით გამაცნეს ჩემი მეორე ქმარი, თავად არბოშიკიდანაა, მაგრამ სახლი არ ჰქონდა, იძულებული ვიყავი ხშირად დედასთან ვყოფილიყავი, ჩემს სახლში ჩემებთან ხელი არ დაუკარებია. სხვადასხვა ფერმაში მწყემსად მუშაობდა, ფულსაც მიგზავნიდა, მაგრამ სიტყვიერი შეურაცხყოფები და სახეში გარტყმა არც აქ დამკლებია, როცა სვამდა, უკონტროლო ხდებოდა. სამი წელია, მასთან ერთად ფერმაში ვცხოვრობ, ახლახანს ფერმა შეიცვალა, ბარგი გადატანილი არც გვქონდა, მეზობელ ფერმაში ცოლ-ქმარმა მიგვიპატიჟა. იმ ღამეს იქ დალიეს, გვთხოვეს, საწოლიც არ გაქვთ, ნუ წახვალთ და აქ დარჩითო, ქმარმაც იგივე მოითხოვა. ოთახში, სადაც შეგვიშვეს, ერთი საწოლი იდგა. ქმარმა რომ მითხრა, დაწექიო, ვუთხარი, ერთ საწოლში შენ, ბავშვი(13 წლის გოგონა) და მე როგორ დავეტევით, შენ დაწექი და ჩვენ სკამზე ვიქნებით- მეთქი. ამის თქმა და სკამისთვის ხელის წამოვლება ერთი იყო, სკამი თავში რამდენჯერმე დამარტყა, თავი რომ მეტკინა და ხელი დავიფარე, ხელიც მომტყდა, ბოლოს რეზინის ჩექმის მონაჭერი გამარტყა სახეში ორჯერ მაგრად. მასპინძლები ხმაურზეშემოცვივდნენ, მაგრამ არცერთი არ მომეშველა- ხელიც არ გაუტოკებიათ, არც დაუყვირიათ, რას შვრებიო. ახლაც მებრაზება, რომ არ დამეხმარნენ, არ დაუშალეს, მხოლოდ ჩემი 13 წლის გოგონა უძახდა, დედას ნუ სცემო და მასაც ისე დაუღრიალა, რომ შეეშინდა და გაჩუმდა. ბოლოს თვითონვე გაჩერდა, თორემ, რომ არ გაჩერებულიყო, არ ვიცი, რა მომივიდოდა. მერე იმ ქალს უთხრა, საწოლში ჩააწვინე თბილად, პირი მობანე და მიხედეო, მე კი დამავალდებულა, პოლიცია თუ მოვა, უთხარი, კიბეზე დავგორდიო. მე, რა თქმა უნდა, აღარ ვაპირებ დაფარვას, ეს პირველი შემთხვევა არ იყო, უკვე მერამდენედ მცემა. პირველად რუსთავში მოხდა ამგვარი შემთხვევა, მეზობლებმა გამოიძახეს პოლიცია და მაშინ გაქცევა მოახერხა. მასთან ცხოვრებას აღარ ვაპირებ, როგორმე უნდა გადავიტანო ეს მძიმე დღეები და ფეხზე დადგომა შევძლო, მაგრამ როგორ გავართმევ თავს პატარა ბავშვის გაზრდას, ამაზე ფიქრი უკვე მიჭირს, იმედია, ადგილობრივი ხელმძღვანელობა ბინით მაინც დამეხმარება, ბინა რომ მექნება, ვიშრომებ, სულაც სახლებს და ეზოებს დავულაგებ ხალხს და როგორმე დავირჩენ თავს! “-აცხადებს დაზარალებული იასა აბესაძე.

-„პაციენტი შემოვიდა მძიმე ტრავმული მდგომარეობით, აღენიშნებოდა სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, თავის ტვინის შერყევა და მარჯვენა ზედა კიდურის მორჩის მოტეხილობა, უკვე მესამე დღეა რაც აქ იმყოფება და მიხარია, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკურნალობას ექვემდებარება, მოგეხსენებათ, ის ორსული გახლავთ და ამიტომ გასინჯული იქნა ასევე გინეკოლოგის მიერაც. გაირკვა, რომ ბავშვის მდგომარეობა სტაბილური და ნორმალურია. ცხადია, ის რაც მოხდა, გახლავთ ძალადობის ძალიან მძიმე ფორმა, რაც დასაგმობია. ის ბეწვზეა გადარჩენილი.“ - განაცხადა ჩვენთან ნევროპათოლოგმა ეკა გონაშვილმა.

რაც შეეხება მოძალადე შალვა ჯალიაშვილს, ის მომხდარი ფაქტიდან მალე, იმავე დღეს დედოფლისწყაროს პოლიციის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ოჯახური ძალადობის მუხლით და სხვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის განზრახ ზიანის მიყენების მუხლით დააკავეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამმართველოს პრესსამსახურმა შორენა ჯახუამ „შირაქთან“ კომენტარში აღნიშნა -„აღნიშნული პიროვნება, შალვა ჯალიაშვილი ამჟამად ოჯახური ძალადობის მუხლითაა დაკავებული, მას უკვე აღკვეთის ღონისძიებით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

მისასალმებელია ის, რომ კანონი ამუშავდა და ამჯერად ძალადობის ეს შემთხვევა სამართალდამცველების მიერ აღიკვეთა და დასჯადი გახდა, რაც ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კლასიკური და წინგადადგმული ნაბიჯია. ამ დროისათვის დაზარალებული ძალადობის მსხვერპლი იასა აბესაძე-ჯალიაშვილი დედოფლისწყაროს საავადმყოფოში რჩება, სადაც მას მცირეწლოვანი შვილი ადგას თავზე. იასა მეუღლესთან შერიგებას კატეგორიულად გამორიცხავს და მარტო ცხოვრებას აპირებს.

იმედს ვიტოვებთ, ჩვენი ხელმძღვანელობა ამ საკითხით დაინტერესებას გამოხატავს, უპირველეს ყოვლისა, იასას, რომელსაც წასასვლელი არსად აქვს, ბინის ქირით უზრუნველყოფს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქალბატონი ორსულადაა და მას საზოგადოების მხრიდან არათუ ტალახის სროლა, არამედ, როგორც მორალური, ასევე ფსიქოლოგიური თანადგომაც სასიცოცხლოდ ესაჭიროება.

ლალი მეხრიშვილი

კახა ჩოქური

ჩემო საყვარელო, ჩემო მოურჩენელო ტკივილო, ჩემო ძვირფასო შვილო კახა, მოვიდა შენი დაბადების დღე-1 ნოემბერი. ოცდამეერთედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. 37 წლის უნდა გამხდარიყავი, შვილო. ვაი, რა ძნელია უშენობა, შენ ხომ ჩემთვის და შენი დებისთვის საფიცარი იყავი, მამისთვის ოჯახის იმედი და გვარის გამგრძელებელი. როგორ ერთ წუთში დამთავრდა ყველაფერი, როგორ დაიფერფლა ჩემი გული და მიკვირს, რომ შევძელი შენს გარეშე ამდენხანს სიცოცხლე, ყველაფერი ღმერთის ნებაა, მართლაც. შენი დები და დისშვილები ყოველთვის მოდიან შენს საფლავთან, სანთლებით და ცრემლებით გილოცავენ დაბადების დღეს. შენთვის უცნობი ძმა ხვთისო, უკვე დიდი ბიჭია. ის გვიდგას გვერდით და გვანუგეშებს. ხშირად გახსენებთ და ვუხსნით, თუ როგორი უკეთილშობილესი იყავი არამარტო ჩვენთვის, არამედ ყველასთვის. ამიტომ არამარტო ქვემო ქედელი, არამედ არხილოსკალოელი კლასელებიც ჩამოდიან შენს საფლავზე და ანთებენ წმინდა სანთლებს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ. კიდევ და კიდევ გილოცავთ დაბადების დღეს, მჯერა რომ მარადიული ნათელი მოეფინება შენს ლამაზ სულს, ჩემო კახა.

დედა ლილი კობაიძე;
მამა რეზო ჩოქური; **დები:** შორენა და ესმა;
ძმა ხვთისო; **დისშვილები**, **ბიძაშვილები**.

მიხა შარმაზანაშვილი

მინდა მოგილოცო დაბადების დღე, ჩემო სიხარულო. 23 ნოემბერს 38 წელი უნდა შეგსრულებოდა. მეცხრე წელია, რაც უშენოდ აღვნიშნავთ ამ დღეს. სიტყვებით ვერ გადმოგცემ, რა ძნელი ყოფილა.

ჩვენი შვილები - თორნიკე და ლელა, გაიზარდნენ, დარდობენ და განიცდიან უშენობას. ცდილობენ, არ მაგრძნობინონ თავიანთი ტკივილი.

თორნიკე ჯარში წავიდა, დიდი კაცია, გამოუთქმელი, გულჩათხრობილი, ნაღვლიანი. წასვლისას თქვა: რას არ მივცემდი, ოღონდ ერთხელ მაინც კიდევ დავლაპარაკებოდი ან შევხებოდი მამასო. (ტიროდა).

კარგი და ძლიერი შვილები გვყავს, იამაყებდი მათით. მხარში მიდგანან ჩვენები - ჩემი და ხათო, დედა, ძმა ვასიკო, შენი ბიძაშვილი მიხა, შენი კლასელი გია, დედაშენი და მამაშენი.

არ ვიცი, მათ გარეშე რა მეშველებოდა.

ბოლოს იმას გთხოვ, მაიდან ილოცე ჩვენი შვილებისთვის. ჩვენ კი მოვალთ და სანთლებს დავანთებთ, ვილოცებთ შენთვის, ნათელში ყოფილიყავი.

შენი მეუღლე ეკა;
შვილები: თორნიკე და ლელა შარმაზანაშვილები.

რამაზ ცქიტიშვილი



ჩემო პირველო სიხარულო, რამაზ! ოხ, რა ძნელია შენი უბედური დედისთვის, ის უდიდესი მწუხარება, რომელიც შენ დატოვე. უკურნებელ სენთან ერთწლიანი ბრძოლის შემდეგ, 2013 წლის 31 ოქტომბერს, 40 წლის ასაკში, ნაადრევად გაქრა შენი ლამაზი სიცოცხლე. უშენოდ გაილია ერთი წელი, მოურჩენელი ტკივილით, დარდით, ცრემლით და მწუხარებით. შენი უბედური დედამისთვის ვაი, რომ ვერავინ და ვერაფერი შეავსებს შენს მიერ დატოვებულ სიცარიელეს.

დედა მოგიკვდეს, ულმობელი გამოდგა ეს წუთისოფელი შენთვის და ჩემთვის, შვილო. ყველგან მელანდები, სულ გელოდები. გაუსაძლისი ხდება ყოველი გათენებული დღე უშენოდ. სიცარიელეა ჩემს გულში. რამაზ, შვილო, ამბობენ დრო მკურნალიაო, არ დაიჯერო.

ენით აუწერელია ტკივილი, რომელიც შენმა წასვლამ დამიტოვა. ასეთი დიდი ტკივილი ადამიანს ადუმებს და ძნელია სიტყვებს თავი მოუყარო. ძნელია, ხელში კალამი აიღო და შვილზე გარდასულ დროში წერო!

ყოველთვის მოდიან შენს საფლავზე შენი ობოლი ცოლ-შვილი. გინთებენ წმინდა სანთლებს და ღმერთს შესთხოვენ, რომ თავისი მადლით ფარავდეს შენს ლამაზ სულს. ლიზი თავისი პაწაწინა თითებით ანთებულ სანთელს ევედრება, ჩემს მამიკოს ცაში ვერ ვწვდებით, ღმერთო წამალი შენ მიაწოდეო.

მენატრები უსაზღვროდ, ტკივილამდე მენატრები, შვილო. ვლოცულობ, რომ სიზმრად გნახო და მოგეფერო.

იძინე მშვიდად, ნათელი გედგას მარადის. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული სასუფეველი.

შენი თვალცრემლიანი დედ-მამა.

დედოფლისწყაროს სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ზაურ და ეკა ღოერაშვილებს სიძის და მეუღლის

ილია გოგილაშვილის

გარდაცვალების გამო.

ზვიად ჯავახიშვილი, დავით ალუღიშვილი, მამუკა სეფიაშვილი, გივი გიგაური, მიხეილ მანგოშვილი, დოდო ლომიძე, მაკა სულაშვილი, მაია ცისკარაული, ეკა მანგოშვილი, გია ჭინჭარაული, კახა ბაცაცაშვილი, გიორგი მანგოშვილი, რამაზ ზურაშვილი, აკაკი ნატროშვილი სამძიმარს უცხადებენ დალი თედეევს დეიდაშვილის

ილია გოგილაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

რა ხდება, როცა წყალს უზმოზე სვამთ?

იაპონელებს ერთი კარგი ჩვევა აქვთ, გაღვიძებისთანავე წყალს სვამენ. მრავალმა მეცნიერულმა კვლევამ დაამტკიცა, რომ ცარიელ კუჭზე წყლის მიღება ეხმარება უამრავი დაავადების მკურნალობას. ეს დაავადებებია: თავის ტკივილი, სახსრებში მტვრევის შეგრძნება, კოლიტი, დიარეა, გულსისხლძარღვთა დაავადებები, თირკმლის დაავადებები, ბრონქიტი, ასთმა, ტუბერკულოზი, სისხლში ქოლესტერინი, ჰიპერტონია, ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები, ეპილეფსია, მენინგიტი, დიაბეტი, თვალის ყველანაირი დაავადება.

მკურნალობის მეთოდი:

უზმოზე, სანამ კბილებს გაიხეხავთ, დალიეთ 4 ჭიქა წყალი . 160 მლ-იანი ჭიქით. სულ 640 მლ.

გაიხეხეთ კბილები

45 წუთის განმავლობაში არაფერი არ დალიოთ და არ მიიღოთ საკვები

ჭამეთ ნორმალურად.

საუზმის, სადილის და ვახშმის შემდეგ 2 საათის განმავლობაში არ მიიღოთ სითხე.

თუ ხანშიშესულ, ან ავადმყოფ ადამიანს არ შეუძლია ერთბაშად ამდენი წყლის დალევა, უნდა დაიწყოს იმდენით, რამდენსაც შეძლებს და ნელ-ნელა გაზარდოს რაოდენობა, სანამ არ მიაღწევს საჭირო 640 მლ-ს

რამდენი ხანი გრძელდება მკურნალობა?

არტერიეული წნევა - 30 დღე
გასტრიტი - 10 დღე
დიაბეტი - 30 დღე
ტუბერკულოზი - 90 დღე.

მათთვის, ვისაც ართრიტი აწუხებს, 3 დღის მერე ერთი კვირა უნდა დაისვენონ.

იდეალურ შემთხვევაში, სასურველია, წყლით მკურნალობა მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდეს. ის არა მხოლოდ ავადმყოფებისთვისაა სასარგებლო, არამედ ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც. შედეგი გასაოცარია, ადამიანი იგრძნობს, როგორ ავსებს მთელი დღის განმავლობაში მის სხეულს წყლის ენერგია.

გახსოვდეთ, წყლით მკურნალობას არანაირი უკუშედეგი არ ახასიათებს.

ყურადღება!

„სამედიცინო ცენტრის“ ლაზერო-თერაპიის კაბინეტი თქვენ გაძლევთ საშუალებას იცხოვროთ ტკივილის გარეშე.

მობრძანდით და ჩაიტარეთ სახსრების მკურნალობა მედიკამენტების გარეშე:

- **ოსტეოპოროზი;**
- **პოდაგრა;**
- **ოსტეოართროზი;**
- **რადიკულიტი-იშიაზი;**
- **ართრიტი;**
- **სახსრების არტროზი;**
- **ხერხემლის მალთა შუა თიაქარი, არასაოპერაციო;**
- **კოქსართროზი;**
- **რევმატიზმი.**

მისამართი: ფიროსმანის ქ. №18 „სამედიცინო ცენტრი“, ექიმი მარინა ძორიძე.

593 14 01 88



„დედოფლისწყაროს საათი“

კვირა 17:30

თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათის“ იმ მაყურებლების საყურადღებოდ, რომლებიც უფასო, უცხოური სატელიტური თეფშებით სარგებლობენ და გადაცემის მიღებას ველარ ახერხებენ, განვმარტავთ, რომ შესაძლოა, მანამდე თქვენ თვალყურს გვადევნებდით ბათუმის „ტელეარხი 25“-ის მეშვეობით. ეს არხი აჭარიდან მაუწყებლობს და თავისუფალ დროს „ობიექტივის“ გადაცემების ტრანსლაციას ახორციელებს, დანარჩენ საათებში კი საეთერო ბადეს საკუთარი გადაცემებით ავსებს. ამიტომ, ამ პარამეტრებით „ობიექტივის“ ეთერი პერიოდულად ითიშება. ეს არხი კეთილ ნებას გამოთქვამს, რომ „ობიექტივის“ გადაცემები გაავრცელოს და ასე შეავსოს თავისუფალი დრო, რის გამოც ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, მათ გრაფიკში ჩავერიოთ. ამიტომ, ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია, როდის შეიძლება ჩაირთოს და როდის გაითიშოს „ობიექტივის“ გადაცემები. აქვე შეგახსენებთ, რომ 24 საათიან რეჟიმში „ობიექტივის“ გადაცემების მიღება შეუფერხებლად შეგიძლიათ ცალკე, მედია კავშირ „ობიექტივის“ საკუთარ არხზე. ასე რომ, მოძებნეთ „ობიექტივი“ და ნუ გველოდებით ბათუმის არხზე. ამისათვის უცხოურ, უფასო სატელიტურ თეფშებზე სპეციალისტებს ხელახლა უნდა გაასწორებინოთ ჩვენი პარამეტრები.

ასევე შეგახსენებთ, რომ თვეში 10 ლარად, უპრობლემოდ მიიღებთ „ობიექტივი“-ს და კიდევ 19 ქართული არხის 24 საათიან მაუწყებლობას **„მაგთი-სატის“** თეფშებით, ასევე სხვა ქართული ოპერატორების და საკაბელო ქსელების მეშვეობით. თბილისში და მის შემოგარენში გვიყურეთ ოთახის ანტენებით და გვისმინეთ რადიო სიხშირეზე FM 105.1

ყოველ კვირას, 17:30 წუთზე თოქ შოუ „დედოფლისწყაროს საათი“ ილია მარტყოფლიშვილთან ერთად, თქვენთან შესახვედრად ემზადება. გადაცემის განმეორებითი ჩვენება ნახეთ იმავე ღამეს 00:30 საათზე.

მოძებნე თანამგზავრზე:

Astra 1G: აღმ. გრძედის 31.5, სიხშირე 11817 MHz, პოლარიზაცია V, სიჩქარე 27500, მოდულაცია - QPSK, შეცდომის კორექცია 3/4 სისტემა, ფორმატი DVB-S, MPEG4 და MAGTIsat-ის თეფშებზე

ქორწინების იძულება 2015 წლის აპრილიდან სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი გახდება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 1501 მუხლი „ქორწინების იძულება“ დაემატა. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დაისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ამასთან, ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, დასჯადი იქნება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

როგორც საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებულ კანონშია აღნიშნული, აღნიშნული მუხლი 2015 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდება.

მადლიერება

ვცხოვრობ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში დედასთან - მაია ნათელაძესთან ერთად. ჩემი ოჯახი არის სოციალურად გაჭირვებული. შემოსავალი მაქვს მხოლოდ დედის პენსია და დახმარება, ასევე საცხოვრებელი პირობები უკიდურესად მძიმე მაქვს. სახლიც ავარიულიულია.

ჩემი მდგომარეობა ცნობილი გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სათემო კავშირისთვის“ და მისმა ხელმძღვანელმა დავით ლეკაშვილმა რამდენიმეჯერ გამიწია დახმარება, მან სახლში მომიტანა საკვები პროდუქტები და ჰიგიენური მოხმარების ნივთები, ასევე გადმომცეს ტანსაცმელი, რომელიც ძალიან დამეხმარება ცივი ზამთრის გატარებაში.

ჩემთვის ცნობილია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „სათემო კავშირი და მისი ხელმძღვანელი დავით ლეკაშვილი ასევე სხვა ბევრ გაჭირვებულ ოჯახსაც ეხმარება, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას და არასამთავრობო ორგანიზაცია „სათემო კავშირს“. მინდა, წარმატება ვუსურვო მათ თავიანთ საქმიანობაში, რომელიც ემსახურება ქველმოქმედებას.

პატივისცემით,
ლარისა ნათელაძე.

ყურადღება!

თქვენ მოგემსახურებათ ტაქსი მარშრუტით დედოფლისწყაროთბილისი. ტაქსი დედოფლისწყაროდან გავა დილის 6 საათიდან 7 საათამდე. ფასი 6 ლარი.

599 27 26 52;
574 04 42 92.

გივი.

სიახლე!

რუსთაველის ქ.N4 (ავტოგასამართ სადგურ „სოკარის“ წინ) ფუნქციონირებს ზოო-ვეტ მარკეტი, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ ყველა ჯგუფის ვეტ-პრეპარატები, ვაქცინები, ცხოველების და ფრინველების საკვები, საკვები დანამატები, თევზების საკვები, ცხოველების მოვლის საგნები დაბალ ფასებში. თქვენ მოგემსახურებიან კვალიფიციური სპეციალისტები.

ზოო-ვეტ მარკეტს ესაჭიროება დამატებითი თანამშრომელი ვეტერინარული განათლებით.

599 26 80 28

იყიდება!

იყიდება კაპიტალური, ბელეტაჟზე სუფთა საცხოვრებელი სახლი, უზრუნველყოფილია წყლით, გაზით, ელექტროენერგიით. სახლს აქვს ბოსტანი 15 მეასედი. საწყისი ფასი 16 000 დოლარი.მისამართი: სოფელი ხორნაბუჯი, ქიზიყის II-ე შესახვევი N25. მსურველებმა დარეკეთ

593 79 56 59,
593 79 20 47.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 03.11	სამშაბათი 04.11	ოთხშაბათი 05.11	ხუთშაბათი 06.11	პარასკევი 07.11	შაბათი 08.11	კვირა 09.11
დღე	5°	2°	6°	5°	8°	8°	7°
ღამე	1°	0°	2°	3°	6°	3°	5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K